

გურია კვარაცხელია

ნორმალიზაციის თეორიული და პრაქტიკული
საკითხები გარღამ თოფურიას ენათმეცნიერულ
მემკვიდრეობაში

აკადემიკოს გარღამ თოფურიას მრავალფეროვან მეცნიერულ მემკვიდრეობაში გამოჩეული ადგილი უჭირავს ქართული მეტყველების კულტურის სფეროს და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ენის ნორმალიზაციის საკითხებს. ენათმეცნიერების ერთერთი ძირითადი აშოცანა სალიტერატურო ენის სრულყოფაა. ამდენად ზუნებრივია, რომ შესაბამისმა პრობლემატიკამ ანალგაზრდობიდანვე მიიპყრო მეცნიერის ყურადღება და შემდგომშიც ყოველთვის რჩებოდა იგი მისი პროფესიული ინტერესების ცენტრში, თუმცა ძნელია იმის თქმა, რას ჰქონდა პერიფერიული მნიშვნელობა ვარღამ თოფურიას, როგორც მეცნიერისა და როგორც ბელაგოგის, მრავალმხრივ მოღვაწეობაში.

ძველი და ახალი ქართულის, ქართველური ენებისა და დიალექტების ღრმა ცოდნა იყო ის მეცნიერული საფუძველი, რასაც ეყრდნობოდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, მაგრამ ეს ვარღამ თოფურიას ღვაწლის მხოლოდ ერთი ასპექტია აღნიშნულ სფეროში. მისი, როგორც ნორმალიზატორის, წვლილი რამდენიმე კუთხით განისაზღვრება. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მიზანმიმართული და მუდმივი ზრუნვა სალიტერატურო ენის სიწმინდეზე, იმათი მეტყველების კულტურის ამაღლებაზე, ვინც ამ ენას იყენებს. მეცნიერს სწამდა, რომ მეტყველების კულტურის უზრუნველყოფა შეუძლია საშუალო და უმაღლეს სკოლას, მოზრდილი თაობისთვის კი, ე. წ. სკოლისგარეშე განათლებას. ამიტომ ვ. თოფურია დიდ ყურადღებასა და დროს უთმობ-

და სალიტერატურო ნორმათა დანერგვას საზოგადოების ყველა ფენაში, რასაც მოწმობს მისი გამოკვლევები, ნორმატიული სახელმძღვანელოები თუ საცნობარო წიგნაები, ორთოგრაფიული ლექსიკონები თუ მრავალი საუზრანალ-გაზეთო სტატია, რომლებიც იბეჭდებოდა ისეთ ორგანოებში, როგორიც იყო ოციან წლებში „განათლების მუშაյი“, „ახალი სკოლისკენ“; ოცდაათიან წლებში „კომუნისტური აღზრდისათვის“, ორმოციან წლებში „საბჭოთა მასწავლებელი“, „სახალხო განათლება“; ორმოცდაათიან წლებში „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში“, გაზეთი „თბილისი“; სამოციან წლებში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“; „სოფლის ცხოვრება“ და სხვა. ნიშანდობლივია წერილების სათაურებიც: „როგორ აღმოვტხვრათ მოსწავლეთა დაბალწიგნიერობა“, „ნუ ვკარგვათ საჭირო ქართულ სიტყვას (წმინდა, სუფთა)“, „სათუთად მოვეკიდოთ ქართულ სიტყვას“, „ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის“ და სხვა.

მეტყველების კულტურის ეს ასტექტი ძალზე სპეციფიკურია. იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ენობრივი აღზრდა, თუ პირდაპირ ვთარგმნით ჩეხურ, ენათმეცნიერებაში მიღებულ ტერმინოლოგიურ შესიტყვებას jazykový výchova: ენობრივი აღზრდა არ უდრის უბრალოდ ენის სწავლებას, რომლის მიზანია სალიტერატურო ენისა და მისი გამომსახველობითი საშუალებების დაუფლება, ათვისება. ენობრივი აღზრდის უმთავრესი ამოცანაა ენისადმი, ენობრივი მოვლენებისა და პრობლემებისადმი ისეთი მიმართების გამომუშავება, რომელიც ემთხვევა ენის შესახებ თანამედროვე ცოდნას, სალიტერატურო ენის არსის, მისი ფუნქციების სწორი გავება.

გამოცდილებით ვიცით, რომ ჩშირად ენის რიგითი მატარებლის, სხვადასხვა დარგის სპეციალისტის, ზოგჯერ მწერლის შეხედულებები პრინციპული ენობრივი საკითხების შესახებ განსწვავდება ენათმეცნიერთა შეხედულებათაგან, რომლებიც ენის აღნაგობის, მისი ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტიკური მხარეების თანამედროვე მეცნიერული კვლევის შედეგებს ემყარება. ცნობილია, მაგალითთად, უარყოფითი დამკაიდებულება ნორმათა ვარიანტულობის მიმართ, ასევე, დრომოშემული შეხედულება სიტყვის სესხების შესახებ და სხვ. ამ და მსგავს საკითხთა გაშუქება და მათდამი მართებული დამოკიდებულების გამომუშავება

ამოძრავებდა ვ. ოთფურიას, როცა განშიარტავდა ჯარა და გაორმაგებული თანხმოვნის შემოლების, მთავრული ასოების დანერვისა თუ ქართული თვლის ოცობითი სისტემის ათობითით შეცვლის უმართებულობას, რასაც ზოგიერთი სახელოვანი მწერალი და ასევე სახელოვანი მეცნიერი ცდილობდა: ვ. ოთფურია მეცნიერულად ასაბუთებდა ამ და მსგავს მიღვომათა მცდარობას. იგი დამაჯერებლად ხსნიდა, თუ რატომ არ უნდა ვთარგმნოთ მონურად და უნდა გადმოცეკ ქართული ენის ბუნების შესაბამისად, „რომ მხატვრული, მეცნიერული და პოლიტიკურ-პუბლიცისტური ნაწარმოების ენა უნდა იყოს ცოცხალი, დემოკრატიული, ხალხურ ენას დაახლოებული ლიტერატურული ენა“, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებდა, რომ „ლიტერატურული ენა საყოველდღეო, სასაუბრო, კუთხური ენა კი არ არის, არამედ ერთიანი, დამუშავებული, დანვეჭილი, მწიგნობრული ენაა“, რითაც სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას მიხნავდა მისი კულგაბრიზაციისაგან. ვ. ოთფურიას მოღვაწეობის ეს მხარე ემსახურებოდა სწორედ ენობრივ აღზრდას, საზოგადოებისათვის სწორი წარმოდგენის, გნებავთ, მართებული საზოგადოებრივი აზრის, შექმნას სალიტერატურო ენასა და მის შესაძლებლობებზე.

ზოგადდენათმეცნიერული ლიტებულებისაა ვარლამ თოთფურიას მეცნიერულ შეხედულებათა სისტემა, რომელიც ერთიან კონცეფციას ქმნის, სადაც სათანადო ადგილს იკავებს საკითხთა ის შეს, რომელიც მუდმივად აქტუალურია ყველა სალიტერატურო ენისათვის, როცა საქმე მათ კოდიფიკაციის ეხება. აღნიშნული კონცეფცია თითქმის სრულად ასახავს სალიტერატურო ენის თანამედროვე თეორიის პრობლემატიკას. თითქმის-თქმ, ვამბობთ იმიტომ, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა ლინგვისტურმა მიმართულებებმა, როგორიც არის კომუნიკაციური გრამატიკა, სამეტყველო ქმედების თეორია, ფუნქციური სტილისტიკა, ლინგვოპრაგმატიკა და სხვ. ასალი თემები თუ ასპექტები მოიტანა მეტყველების კულტურის სფეროშიც. ცხადია, მათთვის გათვალისწინება ორმოცდაათოან-სამოცაიან წლებში შეუძლებელი იქნებოდა, თუმცა ზოგიერთ მათგანზე მინიშნება უკვე გვხვდება ვ. ოთფურიას მეცნიერულ ნააზრევში, რასაც მოვიანებით შევეხებით.

სალიტერატურო ენის კოდიფიკაცია აუცილებლად ივალის-წინებს ორ მნიშვნელოვან ფაქტორს: პაზიციას და შეფასებას. პოზიცია, სოციოლოგიური მნიშვნელობით, გულისხმობს პირის, პირთა ჯუფის, მთელი საზოგადოების მიღრევილებას, უპირატესობა მიანიჭის ერთი რიგის მიზნებს, საშუალებებსა და ქცევებს და უარყოს, უკუაგდოს დანარჩენები. ნებისმიერი დასაბუთებული ლინგვისტიკური ქმედება, რომლის მიზანია ნორმალიზაცია, ენობრივ მოვლენათა ამა თუ იმ კრიტერიუმებით შეფასებასაც მოიცავს, რადგან ამაზეა დამოკიდებული ნორმატიულ გადაწყვეტილებათა მიღება. ზოგადი პოზიცია, რომელსაც ვარლამ თოფურია სალიტერატურო ენის მიმართ იყვებს, რაციონალურთან ერთად, ემოციურ-ეთიკურიც არის. ეს უკანასკნელი გულისხმობს შობლიური ენისადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, ენის პატივისცემასა და სიყვარულს. ცხადია, ლინგვისტის, როგორც მეცნიერის, უპირველესი ამოცანა იმაში მდგრამარეობს, რომ აღწეროს და ობიექტურად გააანალიზოს სალიტერატურო ენის დიალექტურულად რთული სიტუაცია და მხოლოდ ამის საფუძველზე გამოიტანს გარევეული დასკვნები, მაგრამ ენათმეცნიერი, როგორც მოქალაქე და ადამიანი, არ შეიძლება გულგრილად ეკიდებოდეს პოზიციებსა და ლირებულებებს. მას საკუთარი თვალსაზრისის უფლება აქვს იმ საზოგადოების სალიტერატურო ენის საკითხებზე, რომლის წევრსაც თავად წარმოადგენს. უფრო მეტიც, იგი ვალდებულიცაა, შეაფასოს ისინი და აქტიური ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივ პრაქტიკაზე.

ვარლამ თოფურიას ემოციურ-ეთიკური მიმართება დედაენისადმი ექსპლიციტურად მხოლოდ ენობრივი აღზრდის სფეროში ვლინდება. ზემონახსენებ საქურნალ-გაზეთო სტატიებში, აგრეთვე წიგნებში „ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის“, „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“, ხშირად ვხვდებით აბელირებას იმანქ ზოსიმესა და სხვა, ძველი თუ ახალი, ქართველი მწერლებისადმი, აგრეთვე ავტორისეულ გამონათქვამებს, მთელ პასაერებს, სადაც აღნიშნული მიმართება აშეარად არის გამოხატული. ცხადია, ასეთი რამ არა გვაქვს ავტორის წმინდა სამეცნიერო ნაშრომებში, რომელიც ნორმალიზაციის საკითხებს ეძღვნება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სალიტერატურო ენის კულტურულ-შემფასებლური გაგება, რაც

დამახასიათებელია ვ. თოფურიასთვის, თავის მხრივ განსაზღვრავს ენის შემოქმედებით-გამომსახველობითი პოტენციის, მისი „სიტყვის ძილისა და ხატოვანების“ ყურადღების ცენტრში დაყენებას. აქედანვე გამომდინარეობს სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ზოგადი ორიენტაცია ქართულ მწერლობაზე, მხატვრული სიტყვის ოსტატთა ენაზე, როგორც ენის არსებობის უფრო მდიდარ, გამომსახველ, ხატოვან და შემოქმედებით ფორმაზე.

შეცნიერის არაარტიკულირებული ეთიკურ-ემოციური მიმართება, ენის კულტურულ-შემფასებლური გაგება და ამით აუმულაციური ფუნქციის წინ წამოწევა, ორიენტაცია მწერლობაზე, ყოველივე ეს ენის თვით არსის თავისებურ ინტერპრეტაციაზე მიუთითებს, რაც უპირისპირდება ენის, როგორც მხოლოდ ცოდნის, ინფორმაციის გადაცემის იარაღის, ინსტრუმენტულ გაგებას. ამგარი მიდგომის გამომხატველია, მაგალითად, „სტანდარტული ენის“ ინგლისურენოვანი კონცეფცია, რომელსაც სალიტერატურო ენის უმნიშვნელოვანეს თვისებად მიჩნია ეფექტურობა, რაციონალურობა, საყოველთაობა. სოციოლინგვისტი რაი ამბობს, რომ ინსტრუმენტსაც შესაბამისად სამი სასურველი თვისება აქვს: მისაწვდომობა, საიმედოობა, სტანდარტულობა. ვ. თოფურიასათვის ენა მარტო იარაღი არ არის: „რამდენადაც ძეველია, ერთიანია, მონოლითურია, მდიდარი და დახვეწილია ლიტერატურული ენა, იმდენად კულტურულია მისი შემქმნელი და მატარებელი ერიც“. როგორც კერდავთ, განსხვავება „ლიტერატურულ“ და „სტანდარტულ“ ენებს შორის მარტო ტერმინოლოგიური არ არის, არამედ უფრო სიღრმისეულია, რაც ასახება კიდეც განსხვავებულ ორი-ენტაციებში.

ამავე ორიენტაციის ფარგლებში აყალიბებს ვ. თოფურია ენობრივი ფაქტების შეფასების აქსიოლოგიურ სისტემას, სადაც შეიძლება გამოყოფით ოპოზიციები: ახალი—ძველი, ბუნებრივი—ხელოვნური, მარტივი—რთული, ხალხური—წიგნურ-არქაული, ადვილგასაგები—მძიმე. მოცილე ფორმებსა და ლექსიკურ ერთეულებში ნორმის სტატუსი უპირატესად ენიჭება იმას, რომელიც შეესაბამება ენის აღნაგობას და დამკვიდრებულ-გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში.

შეტაც თანამედროვე და საინტერესოა ვ. თოფურიას აზრი ნორმის ვარიანტულობის შესახებ. სალიტერატურო ენის აღრინ-

დელი იდეალი ვარაუღობდა მის სრულ ერთიანობასა და ერთ-გვაროვნებას, ამასთანავე, სალიტერატურო ენის იმგვარ სტაბი-ლურობას, რომელიც მდგომარეობს ნორმის ისტორიულ მდგრა-დობასა და მის ტრადიცულობაში, გადახრათა და ვარიანტთა შეუწყნარებლობაში, ინოვაციათა შეზღუდვასა და ენის ყველა ღონის უნიფიკაციაში. ვ. თოფურია სალიტერატურო ენას განი-ხილავს არა როგორც კონსერვაციაზე ორიენტირებულ, გაქვავე-ბული სისტემას, არამედ როგორც ცოცხალსა და დინამიკურს, ხოლო სალიტერატურო ნორმის ვარიანტულობას, როგორც ნორ-მის შინაგანი განვითარების, მასზე გარე ფაქტორების ზემოქმედე-ბის გამოვლენას. ამიტომ იგი დასაშვებად თვლის ნორმის ვარიან-ტულობას, აგრეთვე მის დიფერენცირებულ გამოყენებას. ამის კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს მისი წერილი „შე, უ, -ლ, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება“, სადაც ზოგჯერ სამი ვა-რიანტიც კია დასაშვებად მიჩნეული. იგ. გიგინეიშვილის თანაავ-ტორობით შექმნილ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონ-ში“ მოთავსებული ვარიანტები გარჩეულია სათანადო პირობითი ნიშნებით როგორც თანაბარი, უპირატესი და დაშვებული, აგ-რეთვე მოძველებული და იშვიათი, რითაც გამოხატულია პრინციპი: „ვაცალოთ ენას“ და „ცაცლებაზ ენას ცვალებადი ნორმა აქვს“. ვ. თოფურიას მინიშვნებები ნორმის დიფერენცირე-ბულ გამოყენებაზე, ასევე, შეესაბამება ნორმალიზაციის თანამედ-როვე თეორიას და ითვალისწინებს ქართული სალიტერატურო ენის პოლიფუნქციურობას. ამგვარად იცვლება ვ. თოფურიას კო-დიფიკატორულ მოღვაწეობაში სალიტერატურო ენის მყარი სტა-ბილურობის თეზის „მოქნილი სტაბილურობით“.

დაბოლოს, განიხილავს არ ენის სიწმინდის დაცვას, როგორც მეტყველების კულტურის თანმხლებ მოვლენას, ვ. თოფურია გან-საკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „მართებული სიტყვებისა და გამოთქმების შესაბამისად ხმარებას“, ეს „შესაბამისობა“, ნორ-მისგან განსხვავებით, არ შეიძლება ნაკარნახევი იყოს ენის სტრუქტურით, მისი გრამატიკით. ის სამეტყველო ქცევის სხვა ტიპის რეგულატორია. მას დღეს „კომუნიკაციურ მიზანშეწონი-ლობას“ უწოდებენ და მეტყველების კულტურის საყრდენ ცნებად მიაჩინათ.